პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

კვირა, 6 ნოემბერი, 1949 წ. № 291 (8524). ფასი 20 კაპ.

ყველა ქვეყნის მშრომელნო! მშვიდობის დაცვა მსოფლიოს ყველა ხალხის საქმეა! ამხილეთ ახალი ომის გამჩაღებელთა აგრესიული გეგმები! გააერთიანეთ მთელი ძალები მტკიცე მშვიდობისა და ხალხთა უშიშროებისათვის საბრძოლველად! სალამი მშვიდობის საქმისათვის, ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ყველა მებრძოლს!

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოწოდებიდან.

დიდი ოქტომბრის XXXII წელი

საბჭოთა ხალხი და მასთან ერთად მთელი მოწინავე, პროგრესული კაცობრიობა ზეიმითა და სიხარულით აღნიშნავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXXII წლისთავს.

მიუთითებდა რა ოქტომბრის რევოლუციის საერთაშორისო მნიშვნელობაზე, ვ. ი. ლენინი ამბობდა:

„ჩვენ ეს საქმე (მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის საქმე—რედ.) დავიწყეთ. როდის, რა პერიოდში, რომელი ერის პროლეტარიატი მიიყვანს ამ საქმეს ბოლოამდე, — მთავარი საკითხი არაა. მთავარი ისაა, რომ ყინული გატეხილია, გზა გახსნილი, მიმართულება აღნიშნული“.

ი. ბ. სტალინი წერილში „ოქტომბრის რევოლუციის საერთაშორისო ხასიათი“ ამბობს:

„ოქტომბრის რევოლუცია არ არის რევოლუცია მხოლოდ „ნაციონალურ ფარგლებში“. ის, უპირველეს ყოვლისა, არის ინტერნაციონალური, საერთაშორისო ხასიათის რევოლუცია, რადგან ოქტომბრის რევოლუცია „ნიშნავს“ კაცობრიობის მსოფლიო ისტორიის ძირეულ შემობრუნებას ძველი კაპიტალისტური სამყაროდან ახალი, სოციალისტური სამყაროსაკენ“.

რაც მეტი დრო გადის, დიდი ოქტომბრის ეს საერთაშორისო მნიშვნელობა სულ უფრო ცხადი ხდება მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის.

მხოლოდ დიდმა ოქტომბერმა, მის მიერ წარმოშობილმა საბჭოთა საზოგადოებრივმა და სახელმწიფოებრივმა წყობილებამ, მისმა შეიარაღებულმა ძალებმა იხსნეს მსოფლიოს ხალხები გერმანელ ფაშისტ-დამპყრობთა ველური ურდოებისაგან, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალებას, საშუალოსაუკუნეობრივი რეაქციის დამყარებას, ათეულ და ასეულ მილიონ ადამიანთა ამოწყვეტას და სხვების დამონებას, კაცობრიობის კულტურის, ცივილიზაციის მონაპოვართა განადგურებას. გაიმარჯვა რა გერმანელ ფაშისტ-დამპყრობლებზე, ამით ჩვენმა ქვეყანამ მსოფლიოს ხალხებს წინსვლისა და განვითარების საუკეთესო პირობები შეუქმნა.

ეს არის ოქტომბრის რევოლუციის დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა.

მხოლოდ დიდი ოქტომბრის, მის მიერ წარმოშობილი საბჭოთა სახელმწიფოს, მისი შეიარაღებული ძალების დახმარებით მოიცილეს პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთის, ალბანეთის ხალხებმა იმპერიალისტთა ბატონობის მძიმე უღელი და დაადგნენ სოციალისტური განვითარების გზას.

ეს არის ოქტომბრის რევოლუციის დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა.

მხოლოდ იმიტომ, რომ დიდი ოქტომბრის მიერ წარმოშობილმა საბჭოთა სახელმწიფომ, მისმა შეიარაღებულმა ძალებმა გაანადგურეს გერმანელი და იაპონელი იმპერიალისტები, ჩინელმა ხალხმა მიიღო შესაძლებლობა წარმატებით დაეგვირგვინებინა ხანგრძლივი ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა და თავისი ქვეყნის რეაქციონერთა წინააღმდეგ, მოეპოვებინა თავისუფლება და დამოუკიდებლობა, შეექმნა სახალხო დემოკრატიის სახელმწიფო.

ეს არის ოქტომბრის რევოლუციის დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა.

მხოლოდ იმიტომ, რომ დიდი ოქტომბრის მიერ წარმოშობილმა საბჭოთა სახელმწიფომ, მისმა შეიარაღებულმა ძალებმა დაამარცხეს ფაშისტური გერმანიის შეიარაღებული ძალები, გახდა შესაძლებელი გერმანიის დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე რესპუბლიკის შექმნა, რაც მობრუნების პუნქტს წარმოადგენს ევროპის ისტორიაში.

ეს არის ოქტომბრის რევოლუციის დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა.

მხოლოდ იმიტომ, რომ დიდი ოქტომბრის მიერ წარმოშობილი საბჭოთა სახელმწიფო სამამულო ომიდან მტკიცე და მძლავრი გამოვიდა, სწორედ იმიტომ, რომ ომისშემდგომ პერიოდში მან უდიდესი წარმატებანი მოიპოვა და კიდევ უფრო გაძლიერდა, მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ძალები გაბედულად იმაღლებენ ხმას ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, ააშკარავებენ მათ რეაქციულ მიზნებს, ფუშავენ მათ გეგმებს.

ეს არის ოქტომბრის რევოლუციის დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა.

მხოლოდ იმიტომ, რომ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს ხელთ აქვთ დიდი ოქტომბრის მიერ წარმოშობილი საბჭოთა სახელმწიფოს სამ ათეულ წელზე მეტი ხნის გამოცდილება ახალი, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისა, მხოლოდ იმიტომ, რომ საბჭოთა სახელმწიფო მათ დიდ და უანგარო დახმარებას უწევს, სოციალიზმი ამ ქვეყნებში წარმატებით შენდება.

ეს არის ოქტომბრის რევოლუციის დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა.

დიდი ოქტომბრის პირმშო — საბჭოთა კავშირი, წარმატებით აშენებს რა სრულ კომუნისტურ საზოგადოებას, ამით ყველა ქვეყნის ჩაგრულთ და გაყვლეფილთ უკაფავს თავისუფლებისა და ბედნიერების გზას.

ეს არის ოქტომბრის რევოლუციის დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა.

განუზომელია დიდი ოქტომბრის მნიშვნელობა ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის.

ოქტომბერმა იხსნა ჩვენი ქვეყანა დასავლეთის იმპერიალისტთა კოლონიად გადაქცევისაგან.

ოქტომბერმა ერთი დაკვრით მოახდინა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია — მუშათა კლასის დიქტატურის დამყარებით ჩვენი სამშობლო მთელ მსოფლიოში პოლიტიკურად ყველაზე მოწინავე ქვეყანა გახდა.

ოქტომბერმა გამოუთხარა საფუძველი ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ჩამორჩენილობას, შექმნა პირობები ჩვენი სახალხო მეურნეობის ისეთი განვითარებისათვის, რომლის მსგავსიც არ ახსოვს არც ერთი ქვეყნის ისტორიას.

ოქტომბერმა გამოუთხარა სათუძველი ჩვენი ქვეყნის კულტურულ ჩამორჩენილობას, შექმნა პირობები ხალხთა მასების კულტურისა და განათლების ისეთი აღმავლობისათვის, რომლის მსგავსიც არც ერთი ქვეყნის ისტორიას არ ახსოვს.

ოქტომბერმა გამოუთხარა საფუძველი ჩვენი ქვეყნის სამხედრო ჩამორჩენილობას, შექმნა პირობები ისეთი შეიარაღებული ძალების შესაქმნელად, როგორიც შეეფერება დიდ საბჭოთა სამშობლოს.

ოქტომბერმა გამანადგურებელი დარტყმა აგემა მუქთახორა კლასებს — კაპიტალისტებსა და მემამულეებს, გაათავისუფლა მათი უღლისაგან ჩვენი ქვეყნის მუშები და გლეხები, საფუძველი ჩაუყარა ექსპლოატატორული კლასების სრულ ლიკვიდაციას.

ოქტომბერმა სამუდამოდ დაასამარა ეროვნული ჩაგვრისა და დამცირების პოლიტიკა, დაამკვიდრა ეროვნული თანასწორობისა და ხალხთა მეგობრობის პოლიტიკა, საფუძველი ჩაუყარა დიდი საბჭოთა სამშობლოს ყველა ხალხთა ეკონომიკისა და კულტურის უმაგალითო აყვავებას.

ოქტომბერმა საფუძველი ჩაუყარა სრულიად ახალი, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობას.

საბჭოთა ხალხმა, ლენინ-სტალინის გმირული პარტიის ხელმძღვანელობით, წარმატებით გამოიყენა დიდი შესაძლებლობანი, რაც მას შეუქმნა ოქტომბრის რევოლუციამ. უმოკლეს ვადაში საბჭოთა ქვეყანამ მოიცილა საუკუნეობრივი ჩამორჩენილობის სამოსელი და მოწინავე, სავსებით დამოუკიდებელი, თავდაცვისათვის ყოველმხრივ მზადმყოფი, მძლავრი ინდუსტრიულ-აგრარული სახელმწიფო გახდა. მოისპო ექსპლოატატორული კლასები და მათი წარმომშობი მიზეზები, აღმოიფხვრა ეროვნული უთანასწორობა და ეროვნული შუღლი, შეიქმნა ხალხთა სტალინური მეგობრობა, აყვავდა კულტურა, მეცნიერება, ხელოვნება, აშენდა კომუნიზმის პირველი ფაზა — სოციალიზმი. დიდ სამამულო ომში სოციალიზმის ქვეყანამ წარმატებით ჩაბარა გამოცდა — ძლევამოსილი გამარჯვება მოიპოვა ფაშისტური რეაქციის შავბნელ ძალებზე. მიუხედავად უდიდესი მსხვერპლისა, რაც საბჭოთა სახელმწიფომ გაიღო, სამამულო ომიდან იგი მძლავრი გამოვიდა. ომის დამთავრებისთანავე ჩვენი ხალხი შეუდგა მოყენებული ჭრილობების მოშუშებას, სახალხო მეურნეობის აღდგენასა და განვითარებას, განაახლა მუშაობა სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლისათვის. ახალი, სტალინური ხუთწლიანი გეგმა, რომელშიც გამოხატულია ომისშემდგომი პერიოდის ამოცანები, დიდი წარმატებით, ვადამდე სრულდება.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად შესანიშნავ წარმატებებს აღწევენ საქართველოს მშრომელები. ომშიც და მშვიდობიან მშენებლობაშიც ქართველმა ხალხმა სამშობლოსათვის თავდადებული ბრძოლისა და შრომის სასახელო ნიმუშები გვიჩვენა. ქართველ გმირებს —საბჭოთა კავშირის გმირებს და სოციალისტური შრომის გმირებს — საპატიო ადგილი უკავიათ ჩვენი სამშობლოს გმირთა დიად ოჯახში. საქართველოს ბოლშევიკები, მთელი ქართველი ხალხი წარმატებით ასრულებენ ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, დიდი სტალინის ყველა დავალებას.

ჩვენი საბჭოთა სამშობლო დიდი წარმატებებით ეგებება ოქტომბრის რევოლუციის XXXII წლისთავს.

ვის უნდა ვუმადლოდეთ ჩვენ ამ წარმატებებს!

ამ წარმატებებს ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ დიდ ლენინს, დიდ სტალინს.

ლენინმა და სტალინმა შექმნეს და გამოაწრთეს ბოლშევიკების გმირული პარტია.

ისინი არიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სულისჩამდგმელები და ორგანიზატორები.

ისინი არიან საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელნი და უდიდესი მშენებელნი.

ლენინის სიკვდილის შემდეგ სტალინი მიუძღვის ჩვენს ქვეყანას წინ, განუხრელად მიჰყავს იგი ლენინის გზით.

სტალინი არის სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. მან შეიმუშავა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის თეორია და პოლიტიკა. მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა ეს თეორია და პოლიტიკა, რამაც ჩვენი ქვეყანა მძლავრი და უძლეველი გახადა. მისი ხელმძღვანელობით განადგურებულ იქნა მტრული კლასები და მათი აგენტები — ტროცკისტ-ბუხარინელი გარეწრები, აშენდა სრულიად ახალი, სოციალისტური საზოგადოება, რომელიც დამყარებულია ჩვენი მუშების, ჩვენი გლეხების, ჩვენი ინტელიგენციის ძმურ თანამშრომლობაზე, საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობაზე.

სტალინი არის დიდ სამამულო ომში ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. მან განავითარა, ახალ საფეხურზე აიყვანა საბჭოთა სამხედრო მეცნიერება. მისი ხელმძღვანელობით დაეუფლნენ ჩვენი კადრები თანამედროვე ომის წარმოების ყველაზე მოწინავე ხელოვნებას. მისი ხელმძღვანელობით გადაიქცა მთელი ჩვენი სამშობლო ერთიან სამხედრო ბანაკად. მისი მხედართმთავრობით მოიპოვეს ჩვენმა ხალხმა და ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა უმაგალითო ისტორიული გამარჯვებანი როგორც ზურგში, ისე ფრონტზე. მისი მხედართმთავრობით განადგურებულ იქნა გერმანელ ფაშისტ-დამპყრობთა და იაპონელ იმპერიალისტთა შეიარაღებული ძალები და დამყარდა მშვიდობა.

სტალინი არის საბჭოთა სამშობლოს ომისშემდგომი პერიოდის გამარჯვებათა სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. მან შეიმუშავა ჩვენი ქვეყნის აღდგენისა და განვითარების დიადი პროგრამა. მისი ხელმძღვანელობით წარმატებით ხორციელდება ჩვენი სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების, ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის აღმავლობის დიადი გეგმა. მისი ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყანა აშენებს სრულ კომუნისტურ საზოგადოებას.

სტალინი არის სული და გული მთელი მსოფლიოს მშვიდობის ბანაკისა, რომელიც სულ უფრო ძლიერდება და წარმატებით იბრძვის ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

სტალინი მთელი მსოფლიოს მშრომელთა დროშაა, იმედია, სიხარულია, ბედნიერებაა!

დიდება დიდ სტალინს!

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას!

ლენინის დროშით, სტალინის მეთაურობით, წინ, კომუნიზმისაკენ!

ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი

ნახატი რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, სტალინური პრემიის ლაურეატის მხატვარ პ. ვ. ვასილიევისა.

საქართველოს ცემენტის ქარხანას ხელახლა მიეკუთვნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დროშა

სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების 1949 წლის მესამე კვარტალის შედეგთა მიხედვით საქართველოს სტალინის სახელობის ცემენტის ქარხანას ხელახლა მიეკუთვნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი პრემია.

ცემენტის ქარხნებს შორის შეჯიბრებაში პირველობა და ეს გარდამავალი დროშა საქართველოს ცემენტის ქარხანამ მოიპოვა მეოთხეჯერ.

გორის საკონსერვო ქარხანამ გაიმარჯვა საკავშირო შეჯიბრებაში

გორის საკონსერვო ქარხანა, რომელმაც დიდი გადაჭარბებით შეასრულა როგორც ათი თვის, ისე ოქტომბრის საწარმოო გეგმა, საგრძნობლად შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება და სახელმწიფოს 64 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება მისცა, მესამე კვარტალის საწარმოო მაჩვენებლებით გამარჯვებული გამოვიდა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ქარხანას მიეკუთვნა პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი პრემია 75 ათასი მანეთის რაოდენობით.

მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტმა დაამთავრა მიღება იმ ნაშრომებისა, რომელთა წარდგენა წარმოებს 1949 წლისათვის სტალინური პრემიის მისანიჭებლად. მეცნიერული ნაშრომები და გამოგონებანი კომიტეტში გამოგზავნეს სხვადასხვა სამინისტრომ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ, მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებმა, საკავშირო პროფსაბჭომ, აგრეთვე ცალკეულმა საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ინსტიტუტებმა.

სულ მიღებულია 1.000-ზე მეტი ნაშრომი, იმაზე მეტი, ვიდრე წინანდელ წლებში, რაც ნათლად მოწმობს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის განუხრელ ზრდასა და განვითარებას.

ამჟამად კომიტეტის 16 სექცია განიხილავს შემოსულ ნაშრომებს. სექციის მუშაობაში მონაწილეობას იღებს მოსკოვისა და სხვა ქალაქების 800-ზე მეტი გამოჩენილი სპეციალისტი. (საკ-დესი).

აფხაზეთის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 2.000 ცენტნერი ყურძენი

აფხაზეთის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 100 პროცენტით შეასრულეს ყურძნის დამზადების გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. მგელაძე და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. დელბა იტყობინებიან, რომ აფხაზეთის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 2.000 ცენტნერი ყურძენი.

ხაშურის რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 10.000 ცენტნერი შაქრის ჭარხალი

ხაშურის რაიონის კოლმეურნეობებმა 101,1 პროცენტით შეასრულეს შაქრის ჭარხლის დამზადების გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით საქართველოს კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის მდივანი ამხ. ფოფხაძე და მშრომელთა დეპუტატების ხაშურის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გელაშვილი იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 10.000 ცენტნერი შაქრის ჭარხალი.

გარდაბნის რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 1.200 ცენტნერი ბამბა

გარდაბნის რაიონის კოლმეურნეობებმა 1 ნოემბრისათვის 100,2 პროცენტით შეასრულეს ბამბის დამზადების წლიური გეგმა.

რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს მოკრიფონ და სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბარონ 1.200 ცენტნერი ნედლი ბამბა.

გორის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს კურკოვანი და თესლოვანი ხილის დამზადების გეგმა

გორის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 2 ნოემბრისათვის 104,4 პროცენტით შეასრულეს კურკოვანი და თესლოვანი ხილის დამზადების გეგმა.

ხილის დამზადება გრძელდება.

გორის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის კარგოფილის ჩაბარების გეგმა

გორის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 1 ნოემბრისათვის 100,5 პროცენტით შეასრულეს კარტოფილის დამზადების გეგმა. კარტოფილის დამზადება გრძელდება.

დუშეთის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესვის გეგმა

დუშეთის რაიონის კოლმეურნეობებმა 100 პროცენტით შეასრულეს საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესვის გეგმა.

გეგმის გადამეტებით თავთავიანი კულტურების თესვა გრძელდება.

ახმეტის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესვის გეგმა

ახმეტის რაიონის კოლმეურნეობებმა 100,2 პროცენტით შეასრულეს საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესვის გეგმა.

გეგმის გადამეტებით თავთავიანი კულტურების თესვა გრძელდება.

დუშეთის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს მარცვლეულის დამზადების გეგმა

დუშეთის რაიონის კოლმეურნეობებმა 100 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების გეგმა სამინდე გამოსაღების ჩაუთვლელად.

მარცვლეულის დამზადება გრძელდება.

დიდება საბჭოთა კავშირის გმირებს და სოციალისტური შრომის გმირებს—ჩვენი სამშობლოს საუკეთესო შვილებს!

★ ★ ★ ★

ახალი ოჯახის დედა

დაპარაკობენ სოციალისტური შრომის გმირები

ოქტომბერმა მოგვიტანა თავისუფლება და ბედნიერება

მიწა, თავისუფლება და ბედნიერება დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მოგვიტანა. საკოლმეურნეო წყობილებამ შეგვიქმნა ბედნიერი ცხოვრების პირობები. მტკიცდება და იზრდება ჩვენი კოლმეურნეობა. სხვებთან ერთად ერთგულად ვმუშაობთ მევენახეები. მარტო უკანასკნელი წლების მანძილზე კოლმეურნეობაში ყურძნის მოსავლიანობა ერთიორად გაიზარდა. თვითეულ ჰექტარზე სამუალოდ მიღებულია 130 ცენტნერი ყურძენი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 9 აგვისტოს ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მომენიჭა. ეს დიდი ჯილდო მაკალებს უფრო უკეთესად ვიმუშაო.

წელს ბრიგადაში უკეთ მოვაწყეთ შრომა, გავაუმჯობესეთ ვენახის მოვლა, შედეგიც კარგი მივიღეთ. ვ. ბახტიძის რგოლში 3 ჰექტარი ვენახის თვითეული ჰექტარის მოსავლიანობა აყვანილია 165 ცენტნერამდე, შ. თაბუკაშვილისაში—160 ცენტნერამდე. ასეთსავე წარმატებას მიაღწიეს მერგოლურებმა მ. ჭყონიამ და ნ. ხუსკივაძემ.

მევენახეები ყურადღებას ვაქცევთ არა მარტო არსებული ნარგავების მოვლის გაუმჯობესებას, არამედ ახალი ვაზის გაშენებასაც. მარტო შარშან და წელს 4 ჰექტარი ვაზი დავრგეთ, უახლოესი ხუთი წლის მანძილზე კი ვენახის მთელ ფართობს ერთიორად გავადიდებთ. ხარობს და ზეიმობს საკოლმეურნეო სოფელი. ამას ჩვენ ვუმადლით ლენინ-სტალინის პარტიას, კოლმეურნე გლეხობის საუკეთესო მეგობარს დიდ სტალინს.

დავით თაბაგუკაშვილი

სოციალისტური შრომის გმირი, მაიაკოვსკის რაიონის სოფელ საკრაულას კოლმეურნეობის ბრიგადირი

ქალის შრომა დაფასდა

ქალის შრომა მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაფასდა. საკოლმეურნეო წყობილებამ გლეხ ქალს დიდი გასაქანი მისცა. თავდადებული შრომით ბევრმა კოლმეურნე ქალმა სახელი გაითქვა მთელს საბჭოთა ქვეყანაში.

უსაზღვრო სიხარული განვიცადე, როცა მეც მომენიჭა სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება.

რით დავიმსახურე ეს უმაღლესი ჯილდო?

ვმუშაობ სოფელ პირველი მაისის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში. სტახანოვური შრომით კარგ შედეგებს მივაღწიეთ: 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე შარშან 89 ცენტნერი სიმინდი მივიღეთ.

წელს უფრო მეტი მონდომებით ვშრომობდით. ამ დღეებში დავამთავრეთ მოსავლის აღება. კვლავ მოვიყვანეთ სიმინდის უხვი მოსავალი. 5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოვიწიეთ 95,2 ცენტნერი სიმინდი, ხოლო რგოლისათვის მიჩენილ 12 ჰექტარზე საშუალოდ ვიღებთ 89 ცენტნერს.

ასეთი წარმატებით ვხვდებით დიად დღესასწაულს. ამ მიღწევით არ ვკმაყოფილდებით. რგოლი აქედანვე ემზადება მომავალ წელს უკეთესი მოსავლის მოსაყვანად.

ამ ზეიმის დღეებში სიტყვას ვიძლევი ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ნდობა და დაფასება ღირსეულად გავამართლო.

ოლღა ძანთარია

სოციალისტური შრომის გმირი, ხობის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური

საკოლმეურნეო წყობილება ჩვენი წარმატებების წყაროა

სამი წელია, სოხუმის რაიონის სოფელ კელასურის მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობაში ვმუშაობ მერგოლურად. ამ ხნის განმავლობაში კარგად შევისწავლე თამბაქოს მოვლის აგროწესები.

შარშან ჩვენმა რგოლმა 3 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე მოიყვანა 16,7 ცენტნერი „სამსუნის“ ჯიშის თამბაქო. ამ წარმატებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მომენიჭა.

ჩვენმა შრომამ წელს უფრო უკეთესი შედეგი მოგვცა: 3,6 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე მივიღეთ 39,3 ცენტნერი თამბაქო.

ახლა ჩვენი რგოლი თამბაქოს მეორე მოსავალს იღებს და იბრძვის იმისათვის, რომ წლის ბოლომდე ყოველ ჰექტარზე კიდევ ავიღოთ 6 ცენტნერამდე ნედლეული.

ჩვენს შრომას ხვავი და ბარაქა საკოლმეურნეო წყობილებამ მისცა. არ დავიშურებთ ენერგიას ჩვენი კოლმეურნეობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

ლუბა ბიგვავა

სოციალისტური შრომის გმირი, სოხუმის რაიონის სოფელ კელასურის მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური

გზატკეცილი ქობულეთიდან ხუცუბნისაკენ მდინარე კინტრიშის მარჯვენა ნაპირს მიჰყვება.

ჩვენსკენ ძოჰქრის ავტომანქანა „პობედა“. როცა მანქანა მოგვიახლოვდა, სვლა შეანელა, ჩემმა თანამგზავრმა იცნო შოფრის გვერდით მჯდომი ჩაის სახელგანთქმული მკრეფავი აიშე ჯიჯავაძე.

სწორედ მის სანახავად მივდიოდით ხუცუბანში.

* * *

წინათ ხშირად უნახავთ სოფელ ჭახათიდან ხუცუბანში მომავალი აიშე ჯიჯავაძე. მას მხარზე თუთის ფოთლით გატენილი ტომარა ედო. ჭახათიდან ხუცუბნამდე ცამეტი კილომეტრია. ცოდვილობდა ახალგაზრდა დედა, და ოჯახს ამაგრებდა...

— ქალო, გათხოვდი და აგრე გაგიჭირდა? წელი მოგწყდება ასეთი შრომით... ასეთი სიტყვები გულს ვერ უცრუებდა შრომაზე ოჯახისმოსიყვარულე ქალს. განა მისი მეუღლე გერონტი ჯიჯავაძე ხელდაკრეფილი იყო? განა გერონტი არ შრომობდა დილიდან შუღამებამდე? მაგრამ ახალ ოჯახს ბევრი საზრუნავი აქვს. მერე და არც აიშეს და არც გერონტის დედ-მამას არაფერი უანდერძებიათ შვილებისათვის.

აიშეს დედ-მამას მიწური სახლი ედგა სოფელ ჭახათში და ამ მიწურში არჯალივით იჯდა სიღარიბე.

ახლა საკუთრივ გაიჩალა კერა სოფელ ხუცუბანში თექვსმეტი წლის აიშემ და მთელი ძალით მიეტანა შრომას.

ასეთი ახალგაზრდა და ასეთი დახელოვნებული მეაბრეშუმე სხვა არ იყო სოფელში. მაგრამ ხუცუბანში ძნელსაშოვარი იყო თუთის ფოთოლი, და როცა აბრეშუმის ჭია წამოიზრდებოდა, აიშე ჭახათს მიაშურებდა ფოთლის მოსატანად.

ასე შრომობდა ახალგაზრდა ქალი ოჯახის გასამაგრებლად.

* * *

— ესეც ჩვენი ხუცუბანი, — ღიმილით გვითხრა აიშემ და მანქანა ახალაშენებულ ორსართულიან შენობასთან შედგა. კოლმეურნეობის კანტორაში პარტორგანიზაციის მდივანი ლევან თხილაიშვილი დაგვხვდა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე გერონტი ჯიჯავაძე ბათუმში წასულიყო სასწრაფო საქმის გამო.

პარტორგანიზაციის მდივანს და კოლმეურნეობის მოანგარიშეს მრავალგვარი წიგნი და ცხრილი უწყვიათ მაგიდაზე. მოანგარიშეს აღმრიცხველების მიერ შრომადგენილი ცხრილებიდან წიგნში გადააქვს ბრიგადირების, მერგოლურების და რიგითი კოლმეურნეების შრომითი მაჩვენებლები.

ლევან თხილაიშვილს ცალკე აქვს შედგენილი კომუნისტი კოლმეურნეების წიგნი. ჩაიხედეთ ამ წიგნში და თქვენ დარწმუნდებით, რომ ხუცუბნელი კომუნისტი კოლმეურნეები ჩაის კრეფისა თუ ციტრუსოვანთა მოსავლის გეგმებს ორმაგად და კიდევ მეტად ასრულებენ.

ლევან თხილაიშვილი კოლმეურნეობის აგრონომია და მან შეუმცდარად იცის — ჩაის რომელ. პლანტაციაში რამდენი ტონა პირველხარისხოვანი ჩაის ფოთლის მოკრეფა შესაძლებელი. ერთი მაგალითი: შარშან კომკავშირელმა გოგონამ, სოციალისტური შრომის გმირმა გული შაქარიშვილმა ეჭვსიათას ხუთასამდე კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა ნახევარ ჰექტარ პლანტაციაში, აქედან ოთხმოცდამეცამეტ პროცენტი პირველი ხარისხისა იყო. აგრონომმა არ მოუწონა ეს ამბავი ახალგაზრდა ჩაის მკრეფავს, სახელდახელოდ გამოუანგარიშა და დაუმტკიცა, რომ ამ პლანტაციას ადვილად შეუძლია მოგვაცეს შვიდი ათასი კილოგრამი პირველხარისხოვანი ჩაის ფოთოლი! წელს ჯერხანად არ დაუმთავრებია ჩაის კრეფა გული შაქარიშვილს თავის ნაკვეთზე, მისი საორიცხვო ბარათი კი გვეუბნება, რომ უკვე მოკრეფილია ექვსიათას ორასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი მხოლოდ პირველი ხარისხისა.

ასე რაზმავს ლევან თხილაიშვილი კომუნისტებსა და კომკავშირელებს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

დიდ სამამულო ომამდეც ამ კოლმეურნეობაში მუშაობდა ლევან თხილაიშვილი. როცა შავი ღრუბლებით მოიგრაგნა მშობლიური ცა, ლევანმა ფრონტს მიაშურა.

ჯერ დონბასში იბრძოდა,

მერე სტალინგრადში,

მერე კავკასიონის ქედებზე უტევდა მტერს და ხელჩართული ბრძოლის დროს დაიჭრა ნოვოროსიისკში. ახლაც მარჯვენა ბეჭში აქვს ჩარჩენილი ყუმბარის ნამსხვრევი და ხანდახან მწვავე ტკივილი დაუვლის ტანში! ვაქკაცურად დაიცვა დიდი ოქტომბრის მონაპოვარი ხუცუბნელმა კოლმეურნემ.

სწორედ იმისი ამოძირკვა და გავერანება ეწადა მტერს, რაც ოქტომბერმა მოიტანა სოფელ ხუცუბანში: ჩაის ფაბრიკა, ციტრუსების შემფუთავი ქარხანა, სკოლის ახალი შენობები, ჩაისა და ციტრუსების ახალი პლანტაციები, მძლავრი კოლმეურნეობა, წიგნი და სინათლე!

ლევან თხილაიშვილი ამ ახალ ცხოვრებას იცავდა და ამიტომ არ უშინდებოდა სიძნელეებს, გაბედულად ანადგურებდა მტერს.

ახლა მშვიდად ზის ნამარი ვაქკაცი თავის კაბინეტში და აღნუსხავს—რაგორი სასახელო წარმატებით ხვდება სტალინის სახელობის კოლმეურნეობა დიდი ოქტომბრის ოცდამეთორმეტე წლისთავს...

* * *

— განა მარტო მე მაქვს მანქანა ხუცუბანში? აი, მარცხნივ გაიხედეთ — ეზოში ავტომანქანა დგას, ამ სახლში ჩვენი ბრიგადირი ცხოვრობს. ჩემს გარდა გასულ თვეს შვიდმა ხუცუბნელმა კოლმეურნემ შეიძინა მსუბუქი ავტომანქანა... ენაწყლიანობს აიშე ჯიჯავაძე და სახლისაკენ მიგვიძღვება.

— აი, კოლმეურნეობის კანტორის წინ დიდი ძინდორია, მალე ამ მინდორს შემოვაკავებთ, დავრგავთ მარადმწვანე ხეებსა და ვარდ-ყვავილებს და ეს იქნება ჩვენი საკოლმეურნეო ბაღი, რომელსაც ფიზკულტურის მოედანიც ექნება. ბაღის შუაგულში აღვმართავთ ოქტომბრის რევოლუციის ბელადების—ლენინის ძეგლსა და ჩვენი საყვარელი სტალინის მონუმენტს. ღიახ, ეს მალე იქნება, სულ ორ თვეში. მაშინ ვერავინ დაიწუნებს ჩვენს სოფელს. უკვე პროექტი შედგენილია და ახლო ხანში დავიწყებთ ელსადგურის აგებას მდინარე კინტრიშზე. თავად ხომ ნახეთ რა მძლავრი მდინარეა და ელსადგური გაანათებს არა მარტო ჩვენს სოფელს, არამედ მეზობელ სოფლებსაც.

— დიახ, სიმდიდრეს მაშინ აქვს ფასი, როცა სინათლე და სისუფთავე ახლავს...

* * *

აივანზე აიშეს ქალიშვილი გული გამოგვეგება. თვრამეტი წელი შეუსრულდა გულის და იგი უკვე დედამისივით სახელმოხვეჭილი ჩაის მკრეფავია. მის მკერდზე სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავი ელვარებს. იგი დედის რგოლშია თავის რძალ აიშესთან ერთად და ამ ოჯახში სამი სოციალისტური შრომის გმირია. მეოთხე წევრიც აიშე ჯიჯავაძის რგოლისა — მოწყობილიც — სოციალისტური შრომის გმირია.

გმირთა პლანტაცია — ასე უწოდებენ აიშე ჯიჯავაძის ჩაის ნაკვეთს ხუცუბნელი კოლმეურნეები.

ამათ წლევანდელი გეგმა უკვე გადამეტებით შეასრულეს, მაგრამ დღესაც ვერ იპოვიდით ამ ოსტატ მკრეფავებს შინ... წვიმს, ჩაის პლანტაციაში არ შეისვლება დღეს და შრომის გმირებიც ოჯახში ხელსაქმობენ.

...ეს ეზო მობალახებული ფერდობი იყო. დასახლდნენ თუ არა, პირველსავე წელს ლიმონის, ფორთოხლისა და მანდარინის ნერგები ჩაჰყარა გერონტიმ. ოცდაათი წლის წინათ იყო ეს და ამჟამად ეზო ბაღადაა ქცეული. ხუთასამდე სრულმსხმოიარე ნარინჯოვანი დგას ეზოში და ამ პატარა ნაკვეთზე მოწეულმა ციტრუსოვანთა ნაყოფმა სამოცდახუთი ათასი მანეთი შემოიტანა ოჯახში შარშან. დახატული სურათი ვერ შეედრება ბაღის ცხოველმყოფელობასა და სიმშვენიერეს. ბაღში უნდა შეხვიდეთ და საკუთარი თვალით უცქიროთ ბუნების ამ სიუხვესა და სილამაზეს. ღიახ, ადამიანის შრომამ ააყვავა აგრერიგად ეს ფერდობი და უსაზღვროა შრომაგამართლებული პატრიოტის სიხარული. ღია ფანჯრიდან გადაჰყურებს სიმწიფემოკიდებულ ბაღს აიშე ჯიჯავაძე და იღიმება.

ვისაც გულში ღვარძლი აქვს, მას ასეთი გაღიმება არ შეუძლია. აიშეს ტუჩ-კბილი კი არა, გული ღიმება. და უყვართ ის მთელ სოფელში გულკეთილობის გამო:

ახალგაზრდა გოგონა ჩაის კრეფას იწყებს და აიშე ჯიჯავაძე მისი მწვრთნელი ოსტატია.

დედა გაუხდება ავად მეზობლის ბავშვს, და აიშე ჯიჯავაძე მისი ტკბილი დედაა.

ახალი საქმე დატრიალდება კოლმეურნეობაში, და აიშე ჯიჯავაძე პირველთაგანია...

ყველაფერს ასწრებს ეს ქალი—

დიდი ოჯახის დედობას,

რგოლის ხელმძღვანელობას, და იცით, შარშან რამდენი შრომადღე ჩაიწერა შრომის წიგნაკში? რვაას ოცი!

შარშანდელი ყოველი შრომადღე ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ოცდასამი მანეთი და სამი კილო ხორბალი ღირდა.

წელს შრომადღეც მეტი აქვს აიშე ჯიჯავაძეს და შრომადღეც მეტად ფასობს.

* * *

სკოლიდან მოვიდა აიშეს უმცროსი ქალიშვილი მერი. ეს თორმეტი წლის გოგონა მეოთხე კლასშია და ჩინებულად სწავლობს. ხუცუბანში სამი სკოლაა. ერთი სრული საშუალო და ორი რვაწლიანი. მასწავლებელთა უმრავლესობა მკვიდრია, ადგილობრივი. ლევან თხილაიშვილმა სამოცდაათამდე ხუცუბნელი აგრონომი, ექიმი, ინჟინერი და მასწავლებელი ჩამოთვალა. ასე ძძლავრად მოიდგა ფეხი სწავლის წყურვილმა ხუცუბნელ ახალგაზრდებში. თვითონ ლევან თხილაიშვილი თბილისის ლ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელ სექტორზე სწავლობს.

...უმცროს დას სიხარულით შეეგება გული, ხელი მოხვია, და ჩვენს წინ სახეელვარე გოგონები კი არა, სიხარული და სილამაზეა ამართული!.. მათი შემყურე ბედნიერი დედა ამბობს:

— არა, ამათ უფლება არა აქვთ ხალისით არ ისწავლონ და არ იშრომონ. განა ოდესმე უგრძვნია ადამიანს ასეთი ზრუნვა! განა ოდესმე ყოფილა ერთ პატარა სოფელში სამი სკოლა! ამდენი მასწავლებელი, ექიმი, აგრონომი, ინჟინერი! ფაბრიკა, ქარხანა და მანქანები!

მიყრუებულ სოფელ ჭახათში აღიზარდა აიშე ჯიჯავაძე, უღარიბესი გლეხკაცის ოჯახში და განა შეეძლო მას ეოცნება, რომ ასეთი გამართული კარმიდამო და ასე სიუხვითა და სიხარულით სავსე ოჯახი ექნებოდა?

ომამდე მოსკოვში იყო აიშე ჯიჯავაძე. სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე მეაბრეშუმე ქალს გულთბილად ეპყრობოდნენ. ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში თამამად დადიოდა კოლმეურნე ქალი.

— სასტუმრო „მოსკოვში“ ვცხოვრობდით. გვიან ღამით დაწვებოდნენ ჩემი ამხანაგები. მე კი ვერ ვისვენებდი, გავაღებდი ფანჯარას და გავცქეროდი კრემლს. იქ, ამ შუაღამითაც ფხიზლობს დიდი ადამიანი და ჩვენზე ფიქრშია გართული. არა, არ მეკარებოდა ძილი, დილამდე ღია მქონდა ფანჯარა და გავცქეროდი კრემლს, სადაც მოღვაწეობს დიდი ბელადი.

...ეთამაშება გული პატარა მერის, იღიმება აყვავებული ოჯახის დედა... ოქტომბერმა დაათუძნა სიუხვე და სიხარული ამ სახლში.

ალიო ადამია

სოფელი ხუცუბანი. ქობულეთის რაიონი.

დაპარაკობენ სოციალისტური შრომის გმირები

სიხარულით ვეგებებით დღესასწაულს

15 წელზე მეტია, რაც ვენახს უვლი. ბავშვობიდანვე მიყვარდა ვაზი. სამამულო ომიდან დავბრუნდი 1944 წელს. მუშაობა დავიწყე მევენახეთა ბრიგადაში. 1947 წლის იანვარში რგოლის ხელმძღვანელად დამაწინაურეს.

შარშან რგოლმა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 116,7 ცენტნერი ყურძენი მიიღო. ამ მიღწევისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 9 აგვისტოს ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მომენიჭა.

როგორ მივაღწიეთ ყურძნის უხვ მოსავალს? რგოლში შრომა სწორად მოვაწყეთ, ვენახი ცალკეულ კოლმეურნეებს მივუჩინეთ მოსავლელად. ვაზი გავსხალით ინდივიდუალური მიდგომით, მწკრივთა შორის ნიადაგი მოვხანით 2-ჯერ, 4-ჯერ გამოვთოხნეთ ვაზის ძირები, მწვანე ოპერაციები შევასრულეთ 6-ჯერ, ბორდოს ხსნარით ვაზი შევწამლეთ 5-ჯერ, 4-ჯერ შევაფრქვიეთ გოგირდი.

შემოდგომაზე ვენახში შევიტანეთ დიდძალი ნაკელი, გავფანტეთ ზედაპირზე და ნიადაგი 20-25 სანტიმეტრ სიღრმეზე დავბარეთ. შემოვლობეთ ვენახის მთელი ფართობი. დავამზადეთ ჭიგო. ყველა ეს სამუშაო ზამთრის დამლევამდე დავამთავრეთ. გაზაფხულზე მეჩხერიანი ნაკვეთი შევავსეთ გადაწვენით, ზუსტად ვიცავდით აგროტექნიკის სხვა წესებსაც.

წელს ყურძნის უხვი მოსავლის მიღებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმან, რომ შარშან ზაფხულში ვენახის მეოთხე წამლობისა და გოგირდის შეფრქვევის შემდეგ ვაზი შევწამლეთ ბორდოს ხსნარით, რომელშიც შევურიეთ ცხელ წყალში გახსნილი გოგირდი. ამან ვაზი მოაღონიერა, ყინვაგამძლე გახადა. ყურძენი უფრო დაამწიფა. ამის შედეგად ვენახმა 1948-1949 წლების სუსხიან ზამთარს ადვილად გაუძლო და მოსავალიც წელს მეტი მოგვცა. ამ შემოდგომაზე შარშანდელთან შედარებით 15-20 ცენტნერით მეტი ყურძენი მივიღეთ. ასეთი მიღწევებით ეგებება რგოლი, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, დიდი ოქტომბრის 32-ე წლისთავს. მომავალში უფრო მეტი ენერგიით ვიმუშავებ ყურძნის მოსავლიანობის გადიდებისათვის.

ალექსანდრე მუშკუდიანი

სოციალისტური შრომის გმირი, ცაგერის რაიონის სოფელ ლახურიაშის კოლმეურნეობა „კომუნიზმისაკენ“ მერგოლური

ვიყენებთ მოწინავე მეცნიერების მიღწევებს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით 0,5 ჰექტარ პლანტაციაში 6.300 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოკრეფისათვის მომენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. წინათ ჩვენ, ქალები, ვერც კი წარმოვიდგენდით, რომ ასეთ დაფასებას ვეღირსებოდით. შრომა მამაცობის საქმედ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გადაიქცა.

უკვე რამდენიმე წელია, რაც ჩაის უხვი მოსავალი მომყავს. წელს მაღალი ჯილდოს პასუხად კიდევ უფრო მონდომებით ვიმუშავე. სულ მალე ჰექტარზე 15.000 კილოგრამ ჩაის ფოთოლს მოვიყვანთ.

ჩვენს მუშაობაში ფართოდ ვიყენებთ მოწინავე მეცნიერების მიღწევებს. გაშენებული გვაქვს სტალინური პრემიის ლაურეატის ამხ. ქსენია ბახტაძის მიერ გამოყვანილი ახალი ქართული ჯიშის ჩაი № 1 და № 2. ამ პლანტაციაში მიღებული თესლი ახალი ნაკვეთების გაშენებას ხმარდება. ამასთან დიდ ყურადღებას ვაქცევთ პლანტაციებში მცირემოსავლიანი ბუჩქების შეცვლას. ახლა ძირითადად უხვმოსავლიანი, ფართოფოთლიანი და მეტი რაოდენობის დუყების მომცემი ჩაის ბუჩქები გვაქვს.

გავაუმჯობესეთ პლანტაციების მოვლაც. წელს პირადად მე 0,5 ჰექტარზე 6.500 კილოგრამზე მეტი ჩაი მოვიყვანე. ასეთი მიღწევით ვხვდები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXXII წლისთავს.

მერი მჭავანაძე

სოციალისტური შრომის გმირი, ქობულეთის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი

სოციალისტური შრომის გმირები

გ. ა. ცხოვრებაძე

პარტიის ვანის რაიონული კომიტეტის მდივანი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა თავისი მუშაობით მთლიანად რაიონში ყურძნის მოსავლის გეგმის 23,8 პროცენტის გადაჭარბებით შესრულების უზრუნველყოფისათვის.

რ. მ. მჭავანაძე

ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობა „კომკავშირის ხმის“ წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარ ფართობზე 7.125 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

ი. დ. გოლძვაძე

წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის უფროსი აგრონომი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 54,9 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 103,7 ცენტნერი ყურძნის მოყვანისათვის.

ძ. ა. გოგუაძე

მახარაძის რაიონის კონეკათის სასოფლო საბჭოს ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარ ფართობზე 6.106 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

რ. ა. ჯაფვაძე

თელავის რაიონის კოლმეურნეობა „მოწინავეს“ მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3,5 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 101 ცენტნერი ყურძნის მოყვანისათვის.

ს. ნ. აბელაშვილი

გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 102,1 ცენტნერი ყურძნის მოყვანისათვის.

ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲯᲝᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲓᲘᲓ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ—ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲑᲣᲠᲯᲡ!

საქართველოს დედაქალაქის—თბილისის მშრომელებმა ძვირფასი სადღესასწაულო საჩუქარი მიიღეს: ძირითადად დამთავრებულია მელიქიშვილის ქუჩის გაფართოება-რეკონსტრუქცია.

ქუჩის მშენებლებმა საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას პირება მათ წარმატებით შეასრულეს და ყველა ნაკისრი სამუშაო 5 ნოემბერს დაამთავრეს.

ვალდებულება იკისრეს ამ სამუშაოთა დამთავრება 7 ნოემბრისათვის. ეს და-

დაგებულია ტრამვაის ახალი ლიანდაგი, გაზონებში დარგულია სხვადასხვა დეკორაციული ბუჩქი და დიდძალი ფერად-ფერადი სეზონური ყვავილები.

ჯიშის მცენარეები, მათ შორის 2.600-ზე მეტი ძირი ბზა, 1.500-ზე მეტი

ფოტო ვ. გინზბურგისა

★

ᲡᲐᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲝ ᲡᲐᲩᲣᲥᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ

ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲨᲐᲮᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲣᲑᲜᲔᲑᲘ ᲢᲥᲘᲑᲣᲚᲘ. (საკ. კორ.). ლენინის სახელობის და გელათის შახტებმა ქვანახშირის მოპოვების ოქტომბრის დავალება გადაჭარბებით შეასრულეს.

ვადაზე ოთხი დღით ადრე გაანაღდა ოქტომბრის გეგმა სტალინის სახელობის შახტის პირველმა საექსპლოატაციო უბანმა, რომელსაც ინჟინერი ბ. ჯალაღანია ხელმძღვანელობს. დაწინაურდა აგრეთვე ამავე შახტის გ. გორგაძის უბანი. ლენინის სახელობის შახტში თვიური გეგმის შესრულებაში ყველას გაუსწრო ინჟინერ ი. ზვიადაძის უბნის კოლექტივმა.

წინა თვესთან შედარებით ოქტომბერში ტყიბულქვანახშირის ტრესტმა ქვანახშირის მოპოვება 18 პროცენტით გაადიდა.

სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა ოქტომბრის დავალება 115,3 პროცენტით შეასრულა სტალინის სახელობის შახტმა.

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲚᲐᲠᲝ

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). საოქტომბრო შეჯიბრებაში დაწინაურდა და მაღალნაყოფიერად შრომობს სტალინის სახელობის მაღაროს კოლექტივი. იგი გამარჯვებული გამოვიდა მაღაროელთა შეჯიბრებაში და მესამე კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით ამ დღეებში მაღაროს კოლექტივს საზეიმოდ გადაეცა მარგანეცის ტრესტისა და მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ჭიათურის რაიკომის გარდამავალი წითელი დროშა.

სტალინელებმა განსაკუთრებით კარგად იმუშავეს სექტემბერში, როცა მარგანეცის დამზადების გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს და 651.000 მანეთი დააგროვეს. მათ მუშაობის ტემპი ოდნავაც არ შეუნელებიათ ოქტომბერში. მაღაროს კოლექტივი წარმატებით ასრულებს სასაქონლო მადნის დამზადების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, ხარისხის გაუმჯობესებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმებს. აქ ვადაზე ათი დღით ადრე შეასრულეს მარგანეცის დამზადების ათი თვის გეგმა.

მაღაროში თავდადებული შრომით გამოირჩევა მისამე უბნის კოლექტივი, რომელსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. ტრ. ფოფხაძე ხელმძღვანელობს.

ᲑᲠᲣᲜᲕᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ 3.068 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲒᲐᲗᲣᲗᲘ. (საკ. კორ.). სტალინის სახელობის ნავთგადამამუშავებელი ქარხნის კოლექტივმა მიმდინარე წლის დასაწყისში ვალდებულება იკისრა წლის ბოლომდე საბრუნავი სახსრების ბრუნვის დაჩქარებით გაეთავისუფლებია 2.200 ათასი მანეთი.

სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლისა და მთელი რიგი ტექნიკურ-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელების შედეგად, მენავთეებმა ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება. მარტო მიმდინარე წლის ცხრა თვეში განთავისუფლებულია 3.068 ათასი მანეთი, ანუ 868 ათასი მანეთით მეტი, ვიდრე მათ ვალდებულებით იკისრეს. ამავე პერიოდში ქარხანამ სახელმწიფოს მისცა 2.210 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

ᲓᲒᲐᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

რა დაჰკრეფს ამდენ ქარვისფერ მტევანს,
ასეთი რთველის არ ვარ მნახველი,
მარანში მაჭარს აღარ აქვს ტევა,
არ ჰყოფნით ქვევრი და საწნახელი.

იქით ჩაია ჩარიგებული,
აქეთ ნარინჯი ჩანს ოქროსფერი...
რა ბედნიერი და დიდებული
საქართველოში დგას ოქტომბერი!

და ხალხთა ძმობის სიმტკიცეს ურღვევს
ბურჯივით უდგას ქართველიც მცველად,
გმირული შრომით ქართველიც უმღერს
ოქტომბრის მზეს და საყვარელ ბელადს.

ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲠᲬᲧᲐᲕᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ

სადღესასწაულოდ ძირითადად დამთავრდა მნიშვნელოვანი ობიექტი — ხოხოულა-აჯამეთის სარწყავი სისტემის მშენებლობა.

ეს ახალი სარწყავი სისტემა, რომელიც აგებულია ზესტაფონის, მაიაკოვსკის, ქუთაისის და ჩხარის რაიონების კოლმეურნეთა პატრიოტული შრომით, მორწყავს 6700-მდე ჰექტარ მაღალმოსავლიან ფართობს, რომელიც დღემდე უწყლობის გამო ან გაცდარი იყო, ან იმდენად მცირემოსავლიანი, რომ გაწეულ შრომასაც ვერ ანაზღაურებდა.

არხისა და მთლიანად სარწყავი სისტემის გამზადებით საგრძნობი ფართობები შეემატებათ ზესტაფონის რაიონის 14 კოლმეურნეობას, მაიაკოვსკის რაიონის 13 კოლმეურნეობას, ქუთაისის რაიონის 7 კოლმეურნეობას და ჩხარის რაიონის 3 კოლმეურნეობას.

ხოხოულა-აჯამეთის სარწყავი სისტემის მშენებლობის პერიოდში კოლმეურნე მშენებლების მიერ შესრულებულია 500.000 კუბმეტრზე მეტი მიწისა და მრავალი ათი ათასი კუბმეტრი ბეტონის სამუშაოები. სოფელ სვირის მახლობლად მდინარე ყვირილაზე აგებულია დიდი ხიდი-აკვედუქი, რომლითაც მდინარის თავზე გატარებულია არხის წყალი მდინარის მეორე ნაპირზე მდებარე ფართობების მოსარწყავად.

მთავარ არხზე წყალვარდნილები გამოყენებულ იქნება საკოლმეურნეო წისქვილების მოსაწყობად.

Ა. ᲪᲔᲠᲪᲕᲐᲫᲔ
ინჟინერი, ირიგატორი.

ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔᲔᲑᲘ

ᲙᲐᲠᲓᲐᲜᲐᲮᲘ

მერგოლურ გაბო ხუჭაშვილს კარდანახის საბჭოთა მეურნეობაში 3 ჰექტარზე საშუალოდ 126 ცენტნერი ყურძენი აქვს მიღებული, გეგმა კი 30 ცენტნერს ითვალისწინებდა. პირადად მიჩენილ ერთ ჰექტარზე მერგოლურმა 145 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა. ამავე მეურნეობაში სტახანოველებს სარდიონ ჭაბაშვილს და ნადია პრაზდნიკოვას თვითეულ ჰექტარზე 35 ცენტნერი ყურძნის მიღება ევალებოდათ, ფაქტიურად პირველმა 112 ცენტნერი მიიღო, მეორემ — 126 ცენტნერი.

ᲛᲣᲙᲣᲖᲐᲜᲘ

მუკუზნის საბჭოთა მეურნეობის მერგოლურის ვასილ კრუჩინის 6,9 ჰექტარ ვენახში საშუალოდ 80 ცენტნერი ყურძენია მიღებული, მათ შორის 4 ჰექტარზე 100,3 ცენტნერი (გეგმით 45 ცენტნერი უნდა მიეღოთ). მერგოლურებმა სოციალისტური შრომის გმირებმა გიორგი გეთიაშვილმა და დავით მინდორაშვილმა საშუალო მოსავლიანობა 131 ცენტნერამდე აიყვანეს, ცალკეული ჰექტარებისა — 140 ცენტნერამდე. სტახანოველ გიორგი ვარაზაშვილს დავალება თითქმის ორმაგად აქვს შესრულებული.

ᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ

ყვარლის საბჭოთა მეურნეობაში ბრიგადირ ვლადიმერ ტეხაშვილს 11 ჰექტარზე საშუალოდ 104 ცენტნერი ყურძენი აქვს მიღებული, მთლიანად 19,68 ჰექტარზე კი საშუალოდ — 72,4 ცენტნერი (გეგმა 32 ცენტნერს ითვალისწინებდა). ასეთივე წარმატება მოიპოვეს მერგოლურმა შურა კოპაჩიოვამ და სტახანოველებმა დავით დავითაშვილმა და ოლია ლეშკაშელმა. მეურნეობის აგრონომმა შოთა ზარდიაშვილმა ყოველ ჰექტარზე უზრუნველყო დავალების თითქმის ორმაგად შესრულება.

ᲜᲐᲤᲐᲠᲔᲣᲚᲘ

ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობის უბნის აგრონომმა შალვა ავსაჯანიშვილმა და ბრიგადირმა გიგა ჭუჭულაშვილმა უზრუნველყვეს 31,65 ჰექტარი ვენახის ყოველ ჰექტარზე 80 ცენტნერი ყურძნის მიღება, გეგმა კი 50 ცენტნერს ითვალისწინებდა. მერგოლურებს იოსებ კაკუნაშვილს და გიორგი გურგენაშვილს ხუთ-ხუთ ჰექტარზე საშუალოდ 112-115 ცენტნერი ყურძენი აქვთ მიღებული, სტახანოველებს ილია ავსაჯანიშვილს, სანდრო მოსიაშვილსა და ილია ჩუგუშვილს თვითეულს — 102 ცენტნერი.

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ

ღვინის ქარხნის მეურნეობაში აგრონომმა მიხეილ მჭედლიშვილმა და ბრიგადირმა მიხეილ ბერიაშვილმა უზრუნველჰყვეს 16,49 ჰექტარ ვენახში ყოველ ჰექტარზე 110,1 ცენტნერი ყურძნის მიღება, მათ შორის 8 ჰექტარზე საშუალოდ — 140 ცენტნერისა. მერგოლურმა ლევან უტიაშვილმა 4 ჰექტარ ვენახში ყოველ ჰექტარზე 151 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა, ცალკე ერთ ჰექტარზე კი — 155 ცენტნერი.

★

ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ

⊙ **აგარის ბერიას სახელობის შაქრის ქარხნის** კოლექტივმა საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში თვალსაჩინო წარმატება მოიპოვა. ოქტომბერში აგარელებმა გამოუშვეს იმდენი შაქარი, რამდენიც არც ერთ თვეში არ გამოუშვიათ ქარხნის ამუშავების დროიდან. მიმდინარე სეზონში შაქრის გამოშვების დაწყებიდან პირველ ნოემბრამდე გეგმა დიდი გადაჭარბებით არის შესრულებული.

⊙ **თბილისის თამბაქოს პირველმა ფაბრიკამ** 2 ნოემბრისათვის შეასრულა ნატურალური პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა. ამავე დროს ფაბრიკის კოლექტივმა ცხრა თვეში 8,5 პროცენტით შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება და 2.237 ათასი მანეთი დააგროვა.

⊙ **საქართველოს მარმარილოს კომბინატის** თბილისის მარმარილოს დამუშავებელმა ქარხანამ 29 ოქტომბერს შეასრულა წლიური გეგმა. ქარხნის კოლექტივმა იკისრა წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვას 1.100 კვადრატული მეტრი მარმარილოს ფილარი.

⊙ **საქართველოს გუმბრინის წარმოების** კოლექტივმა სასახელოდ გაანაღდა საოქტომბრო ვალდებულება. პირველი ნოემბრისათვის ნატეხი გუმბრინის ამოღების წლიური გეგმა შესრულებულია საგრძნობი გადაჭარბებით. ზეგეგმითი დაგროვება ათი თვის მანძილზე შეადგენს 1.200 ათას მანეთს.

⊙ **სურამის კირის ქარხანამ** პირველ ნოემბერს შეასრულა კირის გამოწვის წლიური გეგმა და 7 პროცენტით შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება. ქარხნის კოლექტივმა იკისრა წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვას 2.500 ტონა კირი და მოგვცეს 150 ათასი მანეთის ზეგეგმითი დაგროვება.

⊙ **ფოთის საზღვაო ნავსადგურმა** წლიური გეგმა ორთვენახევრით ადრე, 16 ოქტომბრისათვის შეასრულა. ჩქაროსნული მუშაობის მეთოდით გადამუშავებულია ტვირთების 55,6 პროცენტი. გემთა მოცდენის დრო შემცირებულია 3.151 გემსაათით.

⊙ **ფოთის თევზის ქარხანამ** საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულა თევზჭერის წლიური გეგმა. გეგმის გადამეტებით დაჭერილია 602 ცენტნერი თევზი.

⊙ **მთავარნავთგასაღების ბათუმის სამმართველოს** კოლექტივმა ნავთპროდუქტების დატვირთვის მესამე კვარტალის დავალება გადაჭარბებით შეასრულა, ხოლო 20 ოქტომბრისათვის გეგმის გადამეტებით დატვირთა მრავალი ათასი ცისტერნი. კოლექტივმა გადაჭარბებით გაანაღდა აგრეთვე ცისტერნების დაცლა-დატვირთვის დაჩქარების ვალდებულება. ცისტერნების მოცდენა შემცირებულია 35 პროცენტით, ხოლო ტანკერტების დატვირთვის ვადა — 17 პროცენტით. საგრძნობლად შემცირდა აგრეთვე ნავთის პროდუქტების დანაკარგები.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ

ზესტაფონის განაპირას, საყავრიასა და ფერაძეების უბანს შუა, ამ 16 წლის წინათ რომ პატარა დაჭაობებული მინდორი იყო, ჩვენი რესპუბლიკის პირველი მეტალურგიული სიამაყის—ფეროშენადნობთა ქარხნის უზარმაზარი კორპუსებია აღმართული. ცოტა მოშორებით, ბაღნარად ქცეულ ზეგანზე გაშენებულია მუშათა საცხოვრებელი დაბა. შუაში საქარხნო მმართველობის დიდი შენობაა, ყვავილებით მოქარგულ ბაღში ჩადგმული.

მანქანა ამ შენობასთან შეჩერდა.

I.

კაბინეტში შესვლისთანავე ქარხნის დირექტორმა ივანე კეკელიძემ სტუმარს სკამი შესთავაზა და საყვედურის კილოთი მიმართა:

— ცოტასა წერთ ჩვენს მუშებსა და ინჟინრებზე, მათს თავდადებულ შრომასა და შემოქმედებითი აზრის გაქანებაზე. მერე, როგორ უყვართ ჩვენს მუშებს გაზეთი! არანაკლებად უყვართ წიგნი, მაგრამ მწერლებს, ქართული მხატვრული სიტყვის ოსტატებს, ჩანს, არ „სცალიათ“, იშვიათად აგონდებათ აქ მოსვლა, ჩვენი მეტალურგების მუშაობის მხატვრულად ასახვა...

შეიარეთ საღამოს საქარხნო ბიბლიოთეკა-სამკითხველოში. განუწყვეტლივ საესეა მისი დარბაზი სამუშაოდან თავისუფალი მუშებით, ინჟინრებით, ლითონის დნობის ოსტატებით. დიდი მოთხოვნილებაა ტექნიკურ ლიტერატურაზე, არანაკლები—მხატვრულ ლიტერატურაზე, მაგრამ არც პირველით და არც მეორით აქაური მკითხველები მაინც და მაინც განებივრებული არ არიან. მრავალ ხელში ტარებით უკვე გაუცვდათ ყდები „მთის კაცსა“ და „თავგადასავალს ბესიკ გაბაშვილისას“, „მნათობზე“ რიგში არიან ჩაწერილი. „მეცნიერება და ტექნიკა“ ხელიდან ხელში გადადის...

ღარიბია ჩვენი ლიტერატურა საქართველოს ინდუსტრიული ცხოვრების ამსახველი მხატვრული ნაწარმოებებით. ასეთი ლიტერატურა კი ჩვენს მუშებს ერთობ აინტერესებთ. ღირსი არიან ეს მუშები მათ შესახებ კარგი წიგნის დაწერისა. ხუმრობა საქმე ხომ არაა ზესტაფონში შეიქმნას ისეთი რამ, რაც ვერ შექმნეს ვერც ერთი კაპიტალისტური ქვეყნის მეტალურგებმა.

დაათვალიერეთ ჩვენი ქარხნის საამქროები, გაიცანით მათს მუშაობას და უთუოდ მიხვდებით ჩვენს გულის ტკივილს, საყვედურებს პრეტენზიულობაში არ ჩამოგვართმევთ.

II.

მადნით სავსე ბუნკერი, ფერადი წიდა და კოქსის მთა აღმართულან საქარხნო ეზოს ერთ მხარეს. დახურულ გალერიაში, სადაც ტრანსპორტერების გახუწყვეტელი მოძრაობაა და ყოველივეს რუხი ფერი ადევს, მსხვრეველ მანქანათა გრიალი მოისმის. იშვიათად ჩანან ადამიანები, ირგვლივ მხოლოდ ავტომატურ დანადგართა მოძრაობაა. მადანი და ეგრეთწოდებული აღმდგენელი მასალები როგორც ალმა, ისე დალმა სხვადასხვა სათავსოებში ეშვებიან, გზადაგზა სხვადასხვა ცვლილებას განიცდიან და ბოლოს ერთად იყრიან თავს საკაზმე განყოფილებაში, რათა შეუნელებლივ კვებონ მადადაუცხრომელი, სამიათას გრადუსიანი სიცხით გახელებული გოლიათი ღუმელები.

ღუმელები ძმებივით ჩამწკრივებულან, ერთმანეთის მსგავსნი და თანატოლნი. ყოველ ღუმელთან ადამიანები ფუსფუსებენ. შუბლზე ცეცხლგამძლე შავშუშიანი საფრებით და ხელში მომარჯვებული უცნაურად გრძელტარიანი სამეტალურგო ნიჩბებით.

— გაიცანით, ეს არის საუკეთესო ხარისხის ფეროშენადნობთა ოსტატი გრიგოლ დიაკონიძე!

გაცნობილმა ნიჩაბს ხელი შეუშვა, ოფლი მოიწმინდა და არც უკითხავს

16 წლისა გახდა ეს ქარხანა. ამ ხნის განმავლობაში აქ უკვე გაზრდილა მეტალურგთა მთელი თაობა, დახელოვნებულან და მადნიდან ლითონის გამოდნობაში დაოსტატებულან მუშათა მრავალრიცხოვანი კადრები. მოსულან ახალი ადამიანები, შეუყვარებიათ და შეუსისხლხორცებიათ მათ ეს საქმე, მრავალი გაუმჯობესება შეუტანიათ ფეროშენადნობთა მიღების ტექნოლოგიაში. დნობის ოსტატები ნიკო გოგლიჩიძე, ლევან ნებიერიძე, ალექსანდრე სვანიძე, გრიგოლ კიკნაძე, მიხეილ გაშაკიძე ქარხნის საამაყო ადამიანები არიან. მათი უნარისა და მარჯვენის წყალობით გაითქვა სახელი მთელ საბჭოთა კავშირში ქართულმა ფეროშენადნობმა.

— ყველაზე ღირსშესანიშნავია, — აღნიშნავდა ამბ. მაღლაკელიძე,—ჩვენს მუშებში სოციალისტური შეგნების ზრდა. მაგალითად, გრიგოლ დიაკონიძის ეს შემთხვევა ავიღოთ: მას შეეძლო დექსტრინი არ გაეზიარებინა მეზობლისთვის, ამით მას ეკონომია ექნებოდა და მის ბრიგადასაც მეტი ხელფასი მოუწევდა. ბრიგადირმა ამას არჩია მეზობელი ბრიგადის წარმატება. რატომ? — იმიტომ, რომ ქარხნისათვის, სამშობლოსათვის ეს უფრო სასარგებლო იყო.

III.

ინჟინერ მეტალურგს ფეროშენადნობთა ქარხნის ტექნიკური განყოფილების უფროსს ირაკლი ლორთქიფანიძეს ამ ქარხნის მემატიანეს ეძახიან.

— იცით რა არის „ქართული“, — დაიწყო მან საუბარი,—არ ამოგიკითხავთ ძველ ისტორიულ ლიტერატურაში „ქართული შემოუქნიაო“, ან „ფრანგულს ფარი შეაგებაო“.

„ქართული“ ჩვენებური ფოლადისაგან ნაჭედ ხმალს ეწოდებოდა, „ფრანგული“ კი — ყველა სხვა უცხოური ფოლადებისაგან ნაჭედ ხმალს. ამ სახელწოდებით განასხვავებდნენ, თურმე, იარაღის მოყვანილობასაც. დროთა ვითარებაში ცნობილ ისტორიულ უკეთესმართობათა გამო გაჭრა ქართული ფოლადი. მაგრამ დაიწყო მისი მკვდრეთით აღდგენის ხანაც. მალე გვიჩვენებს ჩვენი ფოლადი თავის ახლებურ ბრწყინვალებას. ამის საწინაღარია რუსთაველი...

ჭაბუკური ენთუზიაზმითა და პატრიოტული გატაცებით ლაპარაკობდა ეს შუახნის კაცი საქართველოში მეტალურგიული მრეწველობის პერსპექტივებზე, ქართველ მეტალურგთა მიღწევებზე, 1929 წელს დიდუბეში გიორგი ნიკოლაძის მიერ დაწყებულ პირველ ცდებზე და ჩვენივე მარგანეცოდან უცხოეთში დამზადებული ფეროშენადნობების შემოტანის აუცილებლობისაგან განთავისუფლებისათვის საბჭოთა სპეციალისტების შრომასა და უკვე 16 წლის წინათ შესრულებულ ოცნებაზე.

ირაკლი ლორთქიფანიძის ნაამბობიდან სავსებით ცხადი გახდა იმ დიდი საწარმოო გამარჯვების მნიშვნელობა, რომელიც ზესტაფონელმა მეტალურგებმა მოიპოვეს. მეტალურგიის ისტორია ლითონისაგან მავნე მინარევების გამოყოფისათვის ბრძოლის ისტორიაა. ლითონის ხარისხს, მაგალითად, ფოლადისას, აუარესებენ — გოგირდი, ფოსფორი, ფაროშნახი და ა. შ. რამდენადაც ნაკლებია ლითონში ეს მინარევები, იმდენად მაღალია მისი ღირსება, ე. ი. სიმტკიცე-სიმკვრივე, ელექტროწინაღობა, ანტიკოროზიულობა, ანტიმაგნეტიზმი.

ამასთან ერთად არსებობენ ისეთი მინარევებიც — ნიკელი, კობალტი, მოლიბდენი, რომლებიც ლითონის ღირსებას ზრდიან, აკეთილშობილებენ. მარგანეცი ლითონის ყველაზე უნივერსალური გამაკეთილშობილებელი, ანუ მეტალურგების გამოთქმით, მალეგირებელი მასალაა. რამდენადაც მეტია ლითონში მარგანეცი, იმდენად უკეთესია. ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მარგანეცის მადნიდან მავნე მინარევების მოშორებას. სუფთა მარგანეცის, ანუ მანგანუმის მიღება უმაღლესი ხარისხის ფოლადის მიღების საწინდარია.

— ჩვენი საბჭოთა ფოლადი,—დაასკვნა მან, — ყველაზე უმტკიცესი, ყველაზე უკეთესი უნდა გავხადოთ ყველა ქვეყნის ფოლადთა შორის. ამ საქმეში ზესტაფონელმა მეტალურგებმა ღირსეული წვლილი უნდა შეიტანონ. ამას გვავალებს ჩვენი დიდი საბჭოთა სამშობლო. ამას გვავალებს ჩვენდამი დიდი სტალინის მზრუნველობა და ყურადღება.

IV.

— ვინ არის ირაკლი ლორთქიფანიძე?

— შესანიშნავი ადამიანი, დიდი ცოდნისა და გამოცდილების მეტალურგი, უპარტიო ბოლშევიკი სპეციალისტი!

საქარხნო პარტიულ ორგანიზაციაში საუკეთესო დახასიათება მისცეს საერთოდ ქარხანაში მომუშავე სპეციალისტებს. მშობლიური სიყვარულისა და ძმური გრძნობების სიტყვები ისმოდა იქ მყოფი მუშებისაგან მათი ხელმძღვანელი ინჟინრების — ირონა სიორიძის, გიორგი შათირიშვილის, ვლადიმერ მელაძის, დავით ჩიკაშუას, მინა რაზმაძის და სხვათა შესახებ.

* * *

სხვა ხასიათის შეხვედრებიც ახსოვს წინათ ზესტაფონს. აქ, ამ მხარეში მუშაობდა, ერთ დროს, ეგნატე ნინოშვილი. ამბობენ მასაც უნახავს ტარიელ მკლავაძის შეხვედრა სპირიდონ მცირიწვილთან და მის დესპინესთანო.

ახლა კი... ღრიანცელიანის სამკიტნოების ნაცვლად ბერიას ქუჩაზე მრავალსართულიანი უზარმაზარი სახლები ამშვენებენ ინდუსტრიული ზესტაფონის ხედს თეთრი ფერით და თანამედროვე არქიტექტურით.

სახლებზე დროშები ფრიალებენ. წითელ ფარჩას მძიმედ ატორტმანებს ნიავი და მატარებლიდან ადვილად წაიკითხება მასზე ამოქარგული საოქტომბრო ლოზუნგი:

— ლენინის დროშით, სტალინის ხელმძღვანელობით, წინ — კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

Დ. ᲚᲝᲛᲗᲐᲫᲔ

ძლიერდება და მტკიცდება დემოკრატიისა და მშვიდობის ბანაკი

ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით დარაზმულმა მუშათა კლასმა 32 წლის წინათ ძლევის დროშა აღმართა და დედამიწის ერთ მეექვსედზე ბოლო მოუღო კაპიტალისტებისა და მემამულეების ბატონობას. ამობრწყინდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მზე, რომელმაც კაცობრიობას ამცნო, რომ დაიწყო ახალი ერა.

იმპერიალისტები ვერ ურიგდებოდნენ მთელი მსოფლიო მუშათა კლასის სამშობლოს, ჩაგრულ ხალხთა ხსნის იმედის — საბჭოთა ქვეყნის არსებობას. ისინი ირაზმებოდნენ და თავიანთ ძალებს ცდიდნენ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. მაგრამ რეაქციის ძალთა ყველა ღონისძიება მარცხით დამთავრდა. დიდი ოქტომბრის პირმშო საბჭოთა კავშირი კი გაიზარდა, მძლავრი სოციალისტური სახელმწიფო გახდა.

მეორე მსოფლიო ომმა ახალი ძალით ცხადყო გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის უძლეველობა, მისი განმათავისუფლებელი, პროგრესული როლი. ომიდან საბჭოთა კავშირი ძლიერი და დიდებამოსილი გამოვიდა. მის წინაშე გადაიშალა შემოქმედებითი შრომის ფართო ასპარეზი, გამრავლდა მისი მეგობრების რიცხვი, ევროპის ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ქვეყნებში ფაშიზმის განადგურების შედეგად გაიმარჯვა სახალხო დემოკრატიულმა წყობილებამ. გაძლიერდა მშვიდობის ბანაკი.

ამან საგონებელში ჩააგდო ამერიკისა და ინგლისის იმპერიალისტები, რომლებიც მოელოდნენ ომში საბჭოთა კავშირის დაუძლურებას და მიზნად ისახავდნენ ფაშისტი დამპყრობლების განადგურების შემდეგ მიღწიათ მსოფლიო ბატონობისათვის. ისინი გაერთიანდნენ რეაქციულ ბანაკში, შექმნეს აგრესიული ბლოკები და გაჩაღეს მზადება ახალი ომისათვის. ამერიკელი ბანკირები სამხედრო დახმარებას უწევენ ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს. ევროპის ქვეყნებისათვის „დახმარების“ ეგრეთ წოდებული „ტრუმენის დოქტრინის“ აზრი შემდეგია: სანამ გერმანია არსებობდა როგორც აგრესიული ქვეყანა, ფართო მასშტაბის ომების წამოწყება უზრუნველყოფილი იყო; ამერიკას შეეძლო შორიდან ეცქირნა მოვლენათა განვითარებისათვის და შეერჩია ხელის მოთბობის მომენტი; მაგრამ ფაშისტური გერმანია დამარცხდა. ამიტომ, ტრუმენისა და აჩესონის აზრით, ახლა საჭიროა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების შეიარაღება და დარაზმვა იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ განზრახულ ომში საზარბაზნე ხორცად სატელიტი სახელმწიფოების ჯარისკაცები იქნან გამოყენებული, ხოლო ამერიკამ მბრძანებლის როლი შეასრულოს და მიაღწიოს მსოფლიო ბატონობას.

მეორე მსოფლიო ომმა, საბჭოთა ხალხის უმაგალითო გმირობამ, მთელ რიგ ქვეყნებში სახალხო დემოკრატიის გამარჯვებამ, თავისუფალ ხალხთა შრომის წარმატებამ აამოძრავა კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების ჩაგრული ხალხები. ერთი წლის წინათ, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 31-ე წლისთავზე, კ. მ. მოლოტოვმა აღნიშნა, რომ „იმპერიალიზმის საყრდენები სულ უფრო ინგრევა და არასაიმედო ხდება. ამავე დროს იზრდებიან და ირაზმებიან დემოკრატიის, მშვიდობისა და სოციალიზმის ძალები“.

იმპერიალიზმის საყრდენი უკვე დაინგრა აზიის უდიდეს ქვეყანაში—ჩინეთში. ჩინეთის 475 მილიონიანმა ხალხმა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის გმირული ბრძოლა ბრწყინვალე გამარჯვებით დააგვირგვინა: შეიქმნა ჩინეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა.

„საბჭოთა კავშირი რომ არ არსებობდეს, — განაცხადა ჩინეთის კომპარტიისა და ჩინელი ხალხის ბელადმა მაო ძე-დუნმა, — ანტიფაშისტურ მეორე მსოფლიო ომში გამარჯვება რომ არ მოგვეპოვებინა, იაპონიის იმპერიალიზმი რომ არ განადგურებულიყო, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ევროპაში რომ ახალი დემოკრატიის ქვეყნები არ წარმოშობილიყო, რა თქმა უნდა, საერთაშორისო რეაქციული ძალების შემოტევა ახლანდელზე გაცილებით უფრო ძლიერი იქნებოდა. განა შეგვეძლო გამარჯვება მოგვეპოვებინა ასეთ ვითარებაში? რასაკვირველია, არა“.

ჩინელი ხალხის გამარჯვება ლახვარს სცემს იმპერიალიზმის მთელ სისტემას, სტიმულს აძლევს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხებს, მნიშვნელოვნად აძლიერებს დემოკრატიისა და მშვიდობის ბანაკს.

მთლიანად ჩაიფუშა ამერიკელ იმპერიალისტთა გეგმები ჩინეთში. ისინი ახლა ფიქრობენ 75 მილიონი დოლარით იხსნან გომინდანური ჩინეთი. ამავე დროს ისინი ბარიერს ქმნიან შორეულ აღმოსავლეთის ქვეყნებში. გაზეთმა „დეილი მეილმა“ ჩინეთის ამბები შეადარა გარღვეულ კამხალს, საიდანაც მოედინება ძლავრი ნაკადი, რომელიც უფრო და უფრო მეტ წყალს იერთებს.

ჩინეთის ამბები უსათუოდ დიდ გავლენას მოახდენს მოვლენათა შემდგომ განვითარებაზე. იგი ხელს შეუწყობს ინდონეზიის 70 მილიონიანი ხალხისა და სამხრეთ კორეის 13 მილიონიანი ხალხის ბრძოლას დამპყრობთა წინააღმდეგ, გაამხნევებს ინდო-ჩინეთის 50 მილიონიან ხალხს, გამოაფხიზლებს ინდოეთის 338 მილიონიან ხალხს, წაახალისებს თავისუფლებისათვის მებრძოლ ყველა ხალხს, მნიშვნელოვნად შეასუსტებს იმპერიალიზმის ბანაკს.

მიმდინარე წლის ოქტომბერი მეორე მსოფლიო მნიშვნელობის ფაქტით აღინიშნა. 7 ოქტომბერს გამოცხადდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. საბჭოთა ზონის 20 მილიონიანმა გერმანელმა ხალხმა შექმნა დემოკრატიული მთავრობა, რომელსაც საბჭოთა მთავრობამ გადასცა მმართველობის ფუნქციები. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა დიდი მოვლენაა. ამხანაგმა სტალინმა იგი დაახასიათა, როგორც მობრუნების პუნქტი ევროპის ისტორიაში.

უკანასკნელი საუკუნის მანძილზე იმპერიალისტურმა გერმანიამ კაცობრიობას ორჯერ მოახვია თავს გამანადგურებელი ომის საშინელება. ამიერიდან გერმანიის დემოკრატიული მშვიდობისმოყვარე რესპუბლიკა ხელს შეუწყობს ევროპის ხალხთა მეგობრულ თანაარსებობას, განამტკიცებს მშვიდობის საქმეს.

ის ფაქტი, რომ დიდმა სტალინმა მისალმება გაუგზავნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტ ვილჰელმ პიკსა და პრემიერ-მინისტრ ოტო გროტევოლს, ის ფაქტი, რომ საბჭოთა მთავრობამ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, აშკარად მეტყველებს, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას. იგი ახალი, გამანადგურებელი ლახვარია იმპერიალისტებისათვის. გერმანელ ხალხს სერიოზულ დაბრკოლებათა გადალახვა მოუხდება ერთიანი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს შექმნის გზაზე, მაგრამ ძლიერი, დემოკრატიული ბანაკის მხარდაჭერით იგი განახორციელებს ამ დიდ საქმეს.

იმპერიალისტური ბანაკი შეაძრწუნა საკდესის ცნობამ, რომელიც 25 სექტემბერს გამოქვეყნდა. ამ ცნობით მთელმა მსოფლიომ გაიგო, რომ უკვე ორი წელიწადია, რაც საბჭოთა კავშირს ატომური იარაღი აქვს. ეს ცნობა თვით ატომური ბომბის აფეთქებას უდრიდა ომის გამჩაღებელთა ბანაკში. პოლონეთის გაზეთმა „ცურიერ ცოძენმა“ ამ მომენტს „ატომური დიპლომატიის დასასრული“ უწოდა. ამერიკელი სტრატეგები, რომლებიც გაცხოველებით ემზადებიან ახალი ომისათვის, თავს იმით ინუგეშებენ, რომ ფიქრობენ საზარბაზნე ხორცად გამოიყენონ ევროპის ხალხები, ხოლო თავისთვის სტრატეგიული დაბომბვის მისია დაიტოვონ. კარგი იმედია... მაგრამ ცხოვრებაში ყველაფერი ისე როდი კეთდება, როგორც ამერიკელ რეაქციონერებს სურთ. უმჯობესია ცოტა რამ „საზარბაზნე ხორცსაც“ ჰკითხონ, ჰკითხონ მსოფლიოს უბრალო ადამიანებს, რომელთაც ომი არ სურთ და მთელ თავიანთ ძალებს რაზმავენ იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

მიმდინარე წლის აპრილში პარიზსა და პრაღაში შემდგარმა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესმა, რომელსაც 72 ქვეყნის წარმომადგენელი დაესწრო, მშვიდობის მომხრეთა საკავშირო კონფერენციამ, რომელიც მოსკოვში გაიხსნა 25 აგვისტოს, ახალგაზრდათა მეორე მსოფლიო კონგრესმა, რომელიც ბუდაპეშტში შედგა 2 სექტემბერს და რომელსაც 70 ქვეყნის ახალგაზრდობის წარმომადგენლები დაესწრნენ, ამერიკის მოწინავე ინტელიგენციის კონტინენტალურმა კონგრესმა, ინგლისის მშვიდობის მომხრეთა კონგრესმა, ჩინეთის, მონღოლეთისა და სხვა ქვეყნების მშვიდობისმომხრეთა კონფერენციებმა ცხადყვეს, რომ ხალხს ომი არა სურს. მთელი მსოფლიოს ხალხთა ძალები ირაზმებიან მშვიდობის დასაცავად.

იზრდებიან და მტკიცდებიან დემოკრატიისა და მშვიდობის ძალები. სუსტდება და უძლურდება იმპერიალიზმის ბანაკი.

საბჭოთა კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები ახალ-ახალ გამარჯვებას ზეიმობენ. ისინი სახალხო მეურნეობის მძლავრი აღმავლობით, მშრომელთა ცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესებით ხვდებიან დიად დღესასწაულს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობით, ჩვენი ქვეყნის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციის 1949 წლის მესამე კვარტალის გადიდებული გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით, ხოლო მრეწველობის საერთო პროდუქცია მიმდინარე წლის 9 თვეში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 20 პროცენტით გადიდდა. მრეწველობის მუშათა შრომის ნაყოფიერება 11 პროცენტით გაიზარდა.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მრეწველობის საერთო პროდუქცია ახლა 1937 წელთან შედარებით 174 პროცენტს შეადგენს. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მძიმე მრეწველობამ 1939 წელთან შედარებით 123 პროცენტით გაადიდა თავისი მოცულობა, ხოლო მუშების რეალური ხელფასი 25 პროცენტით გაიზარდა. ასეთივე მაჩვენებლები აქვთ დანარჩენ სახალხო რესპუბლიკებს. მაგრამ ახლა როდია კაპიტალისტურ სამყაროში.

კაპიტალისტური ქვეყნები სულ უფრო უახლოვდებიან საყოველთაო კრიზისს. კატასტროფულად ეცემა სამრეწველო წარმოების დონე. იხურება ფაბრიკები და ქარხნები. მატულობს უმუშევართა რიცხვი. ოფიციალური ცნობით, ამერიკის შეერთებულ შტატებში 6 მილიონი უმუშევარი და 12 მილიონი ნახევრად უმუშევარია. იტალიაში უმუშევართა რიცხვი აღემატება 2 მილიონს. დასავლეთ გერმანიაში 1,5 მილიონზე მეტი უმუშევარია.

მოახლოებული კრიზისის მარწუხში მოქცეული იმპერიალისტური სამყარო ახალი ომისათვის ემზადება. კაცობრიობის უბოროტესი მტრები ახალ სისხლისღვრას გეგმავენ. მაგრამ ხალხს მასები ომის წინააღმდეგი არიან არა მარტო დემოკრატიულ, არამედ იმპერიალისტურ ქვეყნებშიც. ახალი ომის გამჩაღებელთა მისწრაფება განუხორციელებელია. მათი ავანტიურისტული ხომალდი დაიმსხვრევა დემოკრატიისა და მშვიდობის ძალებთან ბრძოლაში.

მშვიდობის ძალები აურაცხელია. უძლეველია სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკი!

ა. ჩავლეიშვილი

ი. ბ. სტალინის „მოკლე ბიოგრაფიის“ მეორე გამოცემა ჩეხურ ენაზე

პრაღა, 4 ნოემბერი. (საკდესი). გამომცემლობა „სვობოდამ“ ი. ბ. სტალინის „მოკლე ბიოგრაფიის“ მეორე გამოცემა გამოუშვა ჩეხურ ენაზე. მშრომელთა მეგობრისა და მასწავლებლის ცხოვრებისა და ბრძოლის ამსახველი ეს წიგნი ი. ბ. სტალინის წიგნებთან „ლენინიზმის საკითხებთან“ და „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსთან“ ერთად ძირითადი სახელმძღვანელოა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის პარტიული განათლების ქსელში.

ჩეხურ ენაზე ი. ბ. სტალინის „მოკლე ბიოგრაფიის“ ორი გამოცემის ტირაჟი 150 ათას ცალს შეადგენს.

ჩეხოსლოვაკია—საბჭოთა კავშირის მეგობრობის დღეები სლოვაკიაში

პრაღა, 4 ნოემბერი. (საკდესი). სლოვაკი ხალხი ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის დღეებში მასობრივად შედის ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირში, რითაც გამოხატავს თავის უდიდეს სიყვარულს, მადლობასა და ერთგულებას საბჭოთა კავშირისადმი, გენერალისიმუს ი. ბ. სტალინისადმი.

ამ უკანასკნელ ხანს სლოვაკიაში 400 ათასამდე ახალი წევრი შევიდა კავშირში. ბრატისლავაში გაიმართა ეროვნული კრების საზეიმო სხდომა, მიძღვნილი „ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის დღეების“ ამოცანებისადმი. სხდომაზე ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის მეგობრობის მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთა სლოვაკიის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ კარელ შმიდკემ.

სსრ კავშირის დიპლომატიური მისიის მეთაური გ. მ. პუშკინი მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვილჰელმ პიკმა

ბერლინი, 4 ნოემბერი. (საკდესი). დღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვილჰელმ პიკმა საგარეო საქმეთა მინისტრ გეორგ დერტინგერის თანდასწრებით მიიღო მეთაური სსრ კავშირის დიპლომატიური მისიისა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებით მთავრობასთან გ. მ. პუშკინი, რომელმაც პრეზიდენტს გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. მ. შვერნიკის წერილი იმის შესახებ, რომ ელჩი გ. მ. პუშკინი დანიშნა მეთაურად სსრ კავშირის დიპლომატიური მისიისა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებით მთავრობასთან.

გ. მ. პუშკინმა პიზიგი გაუკეთა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ გეორგ დერტინგერს

ბერლინი, 4 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ მეთაური სსრ კავშირის დიპლომატიური მისიისა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებით მთავრობასთან გ. მ. პუშკინი ეწვია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ გეორგ დერტინგერს.

დემონსტრაცია ნიუ-იორკში კომპარტიის ხელმძღვანელთა საწინააღმდეგოდ განთავისუფლების გამო

ნიუ-იორკი, 4 ნოემბერი. (საკდესი). ქალაქ ნიუ-იორკის ზანგთა რაიონი 3 ნოემბერს საღამოს ენთუზიაზმით შეეგება კომპარტიის ლიდერის, მუნიციპალიტეტის წევრას დევისის საპყრობილიდან განთავისუფლებას. დევისი კომპარტიის სხვა ხელმძღვანელებთან უინსტონთან და ტომპსონთან, აგრეთვე პოლ რობსონთან ერთად მეთაურობდა დემონსტრაციას, რომელშიც რამდენიმე ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. დევისმა, უინსტონმა და ტომპსონმა მოკლე სიტყვით მიმართეს შეკრებილთ. „მე დავბრუნდი, რათა ვიბრძოლო ხალხის უფლებებისათვის, — თქვა დევისმ, — და ვერ შემაჩერებს ვერავითარი მედინა“. სახელდახელო მიტინგის შემდეგ მრავალათასიანი დემონსტრაცია გაემართა იმ შენობისაკენ, სადაც შეკრებილი იყო კიდევ რამდენიმე ათასი ადამიანი, რომლებიც დევისსა და კომპარტიის სხვა ხელმძღვანელებს ელოდნენ.

პოლიციელებმა სცადეს მშვიდობიანი დემონსტრაციის გაფანტვა. როცა დემონსტრანტებმა უარი თქვეს დამორჩილებოდნენ პოლიციის ბრძანებებს, პოლიციელებმა ექვსი კაცი დააპატიმრეს.

პოლიციის თვითნებობამ დიდად აღაშფოთა შეკრებილნი.

ბრძანება

თბილისის გარნიზონის ჯარებისადმი № 9

1949 წლის 5 ნოემბერი ქალაქი თბილისი

1949 წლის 7 ნოემბერს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXXII წლისთავის დღეს, **ლ. პ. ბერიას** სახელობის მოედანზე **ინიშნება თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი.**

პარადს მიიღებს არმიის გენერალი ანტონოვი.

პარადი დაიწყება 9 საათზე მოსკოვის დროით.

პარადზე გამოყვანილ იქნან სამხედრო სასწავლებლები და ჯარის ნაწილები, განსაკუთრებული განრიგის თანახმად.

ტანსაცმლის ფორმა **საპარადოა.**

ლ. პ. ბერიას სახელობის მოედანზე ჯარების ჩამწკრივება დამთავრდეს 8-30 წუთისათვის.

პარადის დროს წესრიგის დაცვის ხელმძღვანელობას ვავალებ თბილისის გარნიზონის კომენდანტს პოლკოვნიკ ამხ. ქუდიძეს და ქალაქ თბილისის მილიციის უფროსს პოდპოლკოვნიკ ამხ. ჭელიძეს.

თბილისის გარნიზონის უფროსი
გენერალ-მაიორი იუშკევიჩი

მოსკოვს ჩამოვიდა ბულგარეთის დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიის მეთაური ბ-ნი რ. აპელტი

4 ნოემბერს მოსკოვს ჩამოვიდა მეთაური გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მისიისა სსრ კავშირის მთავრობასთან ბ-ნი რ. აპელტი.

ვნუკოვოს აეროდრომზე ბ-ნ რ. აპელტს შეხვდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ი. ლავრენტიევი, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტ. ა. სელივანოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ვ. ნ. პავლოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მე-3 ევროპული განყოფილების გამგის მოვალეობის ამსრულებელი მ. გ. გრიბანოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოვალეობის ამსრულებელი პ. ა. ბუშუევი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სხვა პასუხისმგებელი თანამშრომლები.

ბ-ნ რ. აპელტს აგრეთვე შეხვდნენ მოსკოვში აკრედიტებული მთელი რიგი საელჩოებისა და მისიების მეთაურები. (საკდესი).

ბრძანება

თბილისის გარნიზონის ჯარებისადმი № 9

1949 წლის 5 ნოემბერი ქალაქი თბილისი

1949 წლის 7 ნოემბერს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXXII წლისთავის დღეს, **ლ. პ. ბერიას** სახელობის მოედანზე **ინიშნება თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი.**

პარადს მიიღებს არმიის გენერალი ანტონოვი.

პარადი დაიწყება 9 საათზე მოსკოვის დროით.

პარადზე გამოყვანილ იქნან სამხედრო სასწავლებლები და ჯარის ნაწილები, განსაკუთრებული განრიგის თანახმად.

ტანსაცმლის ფორმა **საპარადოა.**

ლ. პ. ბერიას სახელობის მოედანზე ჯარების ჩამწკრივება დამთავრდეს 8-30 წუთისათვის.

პარადის დროს წესრიგის დაცვის ხელმძღვანელობას ვავალებ თბილისის გარნიზონის კომენდანტს პოლკოვნიკ ამხ. ქუდიძეს და ქალაქ თბილისის მილიციის უფროსს პოდპოლკოვნიკ ამხ. ჭელიძეს.

თბილისის გარნიზონის უფროსი
გენერალ-მაიორი იუშკევიჩი

გაიხსნა სეზონი ფოთის თეატრში

ფოთი. (საკ. კორ.). 30 ოქტომბერს გაიხსნა ლ. პ. ბერიას სახელობის სახელმწიფო დრამატიული თეატრის სეზონი. პრემიერად თეატრმა მაყურებელს უჩვენა შ. დადიანის პიესა „ნაპერწკლიდან“, რომელიც დადგა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. გაბუნიამ. სპექტაკლი მხატვრულად გაფორმა გ. მილორავამ. მუსიკა ეკუთვნის პ. კორენიაკს.

მაყურებელმა სპექტაკლი გულთბილად მიიღო.

თეატრებში

7 ნოემბერს: ოპერისა და ბალეტის—„ლაუერენსია“ (მე-3 აბ. მესამე სპექტაკლი); **რუსთაველის სახელობის** — „უჩა უჩარდია“ (მე-10 აბ. პირველი სპექტაკლი); **მარჯანიშვილის სახელობის** — „1917 წელი“; **გრიბოედოვის სახელობის** — „ბედნიერება“; **მუსიკალური კომედიის** — „ჩემი გიუზელი“; **მოზარდ მაყურებელთა ჭართული** — „ორი კაპიტანი“ (მე-6 აბონიმენტი); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — „წითელი ყელსახვევი“ (10 საათზე), „კონსტანტინე ზასლონოვი“ (8 საათზე).

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

ამერიკელი ძია ბაზარზე

ნახატი გ. ლომიძისა


ᲒᲔ
ᲜᲘ
ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲘ
ᲕᲣᲘᲓᲝᲗ ᲑᲘᲗᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲪᲐᲚᲝᲑᲘᲗ
ᲠᲣᲠᲘ
ᲕᲣᲘᲓᲝᲗ ᲜᲘᲚᲘᲐᲓ
ᲑᲔᲚᲒᲘᲣᲛᲘ
ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲪᲣᲖᲘ
ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲭᲔᲠᲘ
ᲡᲐᲛᲬᲘᲠᲝ
ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲐ
ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲐ
ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲤᲚᲝᲢᲘ
ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲯᲐᲠᲘ
ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ
ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲛᲬᲘᲠᲝ
ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ
ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲯᲐᲠᲘ
ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲤᲚᲝᲢᲘ
ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲐ
ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲐ
ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲭᲔᲠᲘ
ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ
ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲬᲘᲠᲝ
ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲯᲐᲠᲘ
ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲤᲚᲝᲢᲘ
ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲐ
ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ